

2002/946 / JHA: საბჭოს 2002 წლის 28 ნოემბრის ჩარჩო გადაწყვეტილება უკანონო შესვლის, ტრანზიტისა და ბინადრობის ხელშეწყობის პრევენციის მიზნით სისხლისსამართლებრივი ჩარჩოს გაძლიერების შესახებ

ოფიციალური ჟურნალი L 328, 05/12/2002 P. 0001 – 0003

2002 წლის 28 ნოემბერი

საბჭოს ჩარჩო გადაწყვეტილება

სისხლისსამართლებრივი ჩარჩოს გაძლიერების შესახებ უკანონო შესვლის, ტრანზიტისა და ბინადრობის ხელშეწყობის პრევენციის მიზნით

(2002/946/JHA)

ევროპის კავშირის საბჭო,

ითვალისწინებს რა, ევროკავშირის დაფუძნების შესახებ ხელშეკრულებას, კერძოდ, მის 29-ე მუხლს, 31-ე მუხლის „ე“ პუნქტსა და 34-ე მუხლის 2-ე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტს,

ითვალისწინებს რა, საფრანგეთის რესპუბლიკის ინიციატივას (1),

ითვალისწინებს რა, ევროპარლამენტის მოსაზრებას (2),

ვინაიდან:

(1) ევროკავშირის ერთ-ერთი მიზანია, წევრ სახელმწიფოებს შორის სისხლის სამართლის საქმეებზე პოლიციისა და სასამართლოს თანამშრომლობის სფეროში საერთო ზომების შემუშავების გზით, თავისუფლების, უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების სივრცის ფარგლებში, უზრუნველყოს მოქალაქეთა უსაფრთხოების მაღალი დონე.

(2) ამ კონტექსტში მიღებული უნდა იქნეს ზომები არალეგალური იმიგრაციის ხელშეწყობასთან ბრძოლის მიზნით, რაც უკავშირდება როგორც საზღვრის უკანონო გადაკვეთას, ამ სიტყვის ზუსტი მნიშვნელობით, ისე იმ ქსელების ხელშეწყობას, რომლებიც ადამიანების ექსპლუატაციას ახორციელებენ.

(3) ამ მიზნით, აუცილებელია არსებული საკანონმდებლო დებულებების დაახლოვება, კერძოდ, ერთი მხრივ, კონკრეტული დარღვევის ზუსტი განმარტებისა და გამონაკლისი შემთხვევების განსაზღვრა, რაც უკანონო შესვლის, ტრანზიტისა და ბინადრობის ხელშეწყობის შესახებ საბჭოს 2002 წლის 28 ნოემბრის 2002/90/EC

დირექტივას (3) ექვემდებარება და, მეორე მხრივ, ჯარიმის მინიმალური წესების, იურიდიულ პირთა პასუხისმგებლობისა და იურისდიქციის განსაზღვრა, რაც წინამდებარე ჩარჩო გადაწყვეტილების საგანს წარმოადგენს.

(4) ასევე აუცილებელია, შესაძლო ზომები მხოლოდ ფიზიკური პირების მიმართ განხორციელებული ქმედებებით არ შემოიფარგლოს და გათვალისწინებული იქნას იურიდიულ პირთა პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული ზომები.

(5) ეს ჩარჩო გადაწყვეტილება ავსებს სხვა დოკუმენტებს, რომელიც მიღებულია არალეგალურ იმიგრაციასთან, უკანონო დასაქმებასთან, ადამიანებით ვაჭრობასა და ბავშვთა სექსუალურ ექსპლუატაციასთან ბრძოლის მიზნით.

(6) რაც შეეხება ისლანდიასა და ნორვეგიას, ეს ჩარჩო გადაწყვეტილება გამომდინარეობს შენგენის კანონმდებლობის დებულებებიდან, ევროკავშირის საბჭოს, ისლანდიის რესპუბლიკისა და ნორვეგიის სამეფოს მიერ გაფორმებული ხელშეკრულების მნიშვნელობის ფარგლებში, რომელიც ეხება ამ ორი სახელმწიფოს ასოცირებას შენგენის კანონმდებლობის განხორციელებასთან, გამოყენებასა და შემუშავებასთან და მიეკუთვნება აღნიშნული ხელშეკრულების შესაბამისი ზომების შესახებ საბჭოს 1999 წლის 17 მაისის 1999/437/EC გადაწყვეტილების 1 მუხლის „ე“ პუნქტში ნახსენებ სფეროს (5).

(7) გაერთიანებული სამეფო ამ ჩარჩო გადაწყვეტილებაში მონაწილეობს ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულებისა და ევროგაერთიანების დაფუძნების შესახებ ხელშეკრულების თანდართული ოქმის მე-5 მუხლის შესაბამისად, რომელიც ახდენს შენგენის კანონმდებლობის ინტეგრირებას ევროკავშირის ფარგლებში და საბჭოს 2000 წლის 29 მაისის 2000/365/EC გადაწყვეტილების მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, რომელიც ეხება დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს მოთხოვნას შენგენის კანონმდებლობის გარკვეულ დებულებებში მონაწილეობასთან დაკავშირებით (6).

(8) ირლანდია მონაწილეობას იღებს ამ ჩარჩო გადაწყვეტილებაში ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულებისა და ევროგაერთიანების დაფუძნების შესახებ ხელშეკრულების თანდართული ოქმის მე-5 მუხლის შესაბამისად, რომელიც ახდენს შენგენის კანონმდებლობის ინტეგრირებას ევროკავშირის ფარგლებში და საბჭოს 2000 წლის 29 მაისის 2000/365/EC გადაწყვეტილების მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, რომელიც ეხება ირლანდიის მოთხოვნას შენგენის კანონმდებლობის გარკვეულ დებულებებში მონაწილეობასთან დაკავშირებით (7),

იღებს წინამდებარე ჩარჩო გადაწყვეტილებას:

მუხლი 1

სანქციები

1. თითოეული წევრი სახელმწიფო ვალდებულია მიიღოს აუცილებელი ზომები, რათა უზრუნველყოს 2002/90/EC დირექტივის 1-ელ და მე-2 მუხლებში აღწერილ

დარღვევებზე ეფექტური, პროპორციული და პრევენციული სისხლისსამართლებრივი სანქციების დაწესება, რასაც შეიძლება მოჰყვეს ექსტრადიცია.

2. საჭიროების შემთხვევაში, 1-ელ მუხლში აღწერილ სისხლის სამართლებრივ სანქციებს შეიძლება თან ახლდეს შემდეგი ზომები:

- დანაშაულის ჩასადენად გამოყენებული სატრანსპორტო საშუალებების ჩამორთმევა;
- პირდაპირ ან შუამავლის მეშვეობით იმ პროფესიული საქმიანობის განხორციელების აკრძალვა, რომლის დროსაც ჩადენილი იქნა დანაშაული,
- დეპორტაცია.

3. თითოეული წევრი სახელმწიფო ვალდებულია, მიიღოს აუცილებელი ზომები, რათა უზრუნველყოს, რომ როდესაც 1-ელი მუხლის 1-ელი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში მითითებული დარღვევები ფინანსური მოგების მიზნით და იმ ხარისხით არის ჩადენილი, როგორც ეს 2002/90/EC დირექტივის 2-ე მუხლის „ა“ პუნქტშია განსაზღვრული, აღნიშნული ისჯებოდეს თავისუფლების აღკვეთით არანაკლებ რვა წლამდე ვადით, თუ ეს დარღვევები ქვემოთ ჩამოთვლილ ნებისმიერ გარემოებაშია ჩადენილი:

- დანაშაული წარმოადგენდა კრიმინალური ორგანიზაციის საქმიანობის ნაწილს, როგორც ეს განსაზღვრულია 98/733/JHA (8) ერთობლივ ქმედებაში,
- დანაშაულის ჩადენის დროს საფრთხე შეექმნა იმ ადამიანების სიცოცხლეს, რომლებიც წარმოადგენენ დანაშაულის საგანს.

4. თუ აუცილებელია ეროვნული სანქციების სისტემის თანხვედრის შენარჩუნება, მე-3 პუნქტში განსაზღვრული ქმედებები დაისჯება თავისუფლების აღკვეთით არანაკლებ ექვს წლამდე ვადით, იმ პირობით, რომ ეს წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე მძიმე მაქსიმალურ სასჯელს, რომელიც მსგავსი სიმძიმის დანაშაულისთვის არის გათვალისწინებული.

მუხლი 2

იურიდიულ პირთა პასუხისმგებლობა

1. თითოეული წევრი სახელმწიფო ვალდებულია, მიიღოს აუცილებელი ზომები, რათა უზრუნველყოს, რომ იურიდიულ პირებს დაეკისროთ პასუხისმგებლობა იმ დარღვევების გამო, რომელზეც საუბარია 1-ელი მუხლის 1-ელ პუნქტში და რომლებიც ჩადენილია მათ სასარგებლოდ ნებისმიერი პირის მიერ, რომელიც მოქმედებს ინდივიდუალურად ან როგორც იმ იურიდიული პირის ორგანოს ნაწილი, რომელშიც წამყვანი პოზიცია უკავია, ქვემოთ მოცემულზე დაყრდნობით:

- იურიდიული პირის წარმომადგენლობის უფლებამოსილება,
- გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება იურიდიული პირის სახელით, ან
- კონტროლის განხორციელების უფლებამოსილება იურიდიული პირის ფარგლებში.

2. გარდა 1-ელ პუნქტში გათვალისწინებული შემთხვევებისა, თითოეული წევრი სახელმწიფო ვალდებულია, მიიღოს აუცილებელი ზომები, რათა უზრუნველყოს, რომ იურიდიულ პირს დაეკისროს პასუხისმგებლობა, თუკი 1-ელ პუნქტში მითითებული პირის მხრიდან ზედამხედველობის ან კონტროლის არარსებობამ შესაძლებელი გახადა 1-ელი მუხლის 1-ელ პუნქტში მითითებული დარღვევების ჩადენა ამ იურიდიული პირის სასარგებლოდ, იმ პირის მიერ, რომელიც იმყოფება მისი უფლებამოსილების ქვეშ.

3. იურიდიული პირის პასუხისმგებლობა 1-ელი და მე-2 მუხლების თანახმად არ გამორიცხავს სისხლის სამართალწარმოებას ფიზიკური პირების წინააღმდეგ, რომლებიც არიან დამნაშავეები ან წამქეზებლები ან თანამონაწილენი იმ დანაშაულებთან მიმართებით, რომლებზეც საუბარია 1-ელ პუნქტში.

მუხლი 3

სანქციები იურიდიული პირებისთვის

1. თითოეული წევრი სახელმწიფო ვალდებულია, მიიღოს აუცილებელი ზომები, რათა უზრუნველყოს, რომ იურიდიული პირი, რომელსაც ეკისრება პასუხისმგებლობა 2-ე მუხლის 1-ელი მუხლის შესაბამისად, დაისაჯოს ეფექტური, ზომიერი და პრევენციული სანქციებით, რომელიც უნდა შეიცავდეს სისხლისსამართლებრივ ან არასისხლისსამართლებრივ ჯარიმებს და შეიძლება შეიცავდეს სხვა სანქციებს, როგორიცაა:

(ა) სოციალური შეღავათების ან დახმარების მიღების უფლების ჩამორთმევა;

(ბ) კომერციული საქმიანობის განხორციელების უფლების დროებით ან სამუდამოდ ჩამორთმევა;

(გ) სასამართლო ზედამხედველობის ქვეშ მოქცევა;

(დ) სასამართლოს ბრძანება ლიკვიდაციის შესახებ.

2. თითოეული წევრი სახელმწიფო ვალდებულია, მიიღოს აუცილებელი ზომები, რათა უზრუნველყოს, რომ იურიდიული პირი, რომელსაც ეკისრება პასუხისმგებლობა 2-ე მუხლის თანახმად, დაისაჯოს ეფექტური, პროპორციული და პრევენციული სანქციებით ან ზომებით.

მუხლი 4

იურისდიქცია

1. თითოეული წევრი სახელმწიფო ვალდებულია მიიღოს აუცილებელი ზომები, რათა გაავრცელოს თავისი იურისდიქცია დარღვევებზე, რომლებზეც საუბარია 1-ელი მუხლის 1-ელ პუნქტში და რომელიც ჩადენილია:

(ა) მთლიანად ან ნაწილობრივ მის ტერიტორიაზე;

(ბ) მისი ერთ-ერთი მოქალაქის მიერ, ან

(გ) იურიდიული პირის სასარგებლოდ, რომელიც დაარსდა მოცემული წევრი სახელმწიფო ტერიტორიაზე.

2. მე-5 მუხლის დებულებების თანახმად, ნებისმიერ წევრ სახელმწიფოს შეუძლია გადაწყვიტოს, რომ იგი არ გამოიყენებს, ან მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში ან გარემოებებში გამოიყენებს იურისდიქციის წესს, რომელიც დადგენილია:

- 1-ელი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში,

- 1-ელი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტში.

3. თითოეული წევრი სახელმწიფო ვალდებულია, წერილობით აცნობოს საბჭოს გენერალურ მდივანს, თუ ის გადაწყვეტს მიმართოს მე-2 პუნქტს და, საჭიროების შემთხვევაში, მიუთითებს კონკრეტულ გარემოებებს ან პირობებს, რომელზეც ვრცელდება მისი გადაწყვეტილება.

მუხლი 5

ექსტრადიცია და დევნა

1. (ა) ნებისმიერი წევრი სახელმწიფო, რომელიც, მისი კანონმდებლობის თანახმად, არ ახდენს საკუთარი მოქალაქეების ექსტრადიციას, ვალდებულია, მიიღოს აუცილებელი ზომები, რათა დაადგინოს თავისი იურისდიქცია იმ დარღვევებთან დაკავშირებით, რომლებზეც საუბარია 1-ელი მუხლის 1-ელ პუნქტში, როცა ასეთი დარღვევები ჩადენილია მისივე მოქალაქეების მიერ, მისი ტერიტორიის ფარგლებს გარეთ.

(ბ) როდესაც კონკრეტული წევრი სახელმწიფოს მოქალაქე 1-ელი მუხლის 1-ელ პუნქტში მითითებულ დარღვევას სავარაუდოდ ჩაიდენს სხვა წევრ სახელმწიფოში და როდესაც მოცემული წევრი სახელმწიფო არ ახდენს ამ პიროვნებას ექსტრადირებას იმ სხვა წევრ სახელმწიფოში მხოლოდ მისი მოქალაქეობის საფუძველზე, აღნიშნული სახელმწიფო საქმეს გადასცემს კომპეტენტურ ორგანოებს,

საჭიროების შემთხვევაში, სისხლის სამართლებრივი დევნის განხორციელების მიზნით. იმისათვის, რომ განხორციელდეს სისხლის სამართლებრივი დევნა, დანაშაულთან დაკავშირებული დოკუმენტები, ინფორმაცია და ნივთიერი მტკიცებულებები გადაცემული უნდა იქნას ექსტრადიციის შესახებ 1957 წლის 13 დეკემბრის ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი პროცედურების შესაბამისად. თხოვნის გამგზავნ წევრ სახელმწიფოს უნდა ეცნობოს ინიცირებული სისხლისსამართლებრივი დევნისა და მისი შედეგის შესახებ.

2. ამ მუხლის მიზნებისათვის, წევრი სახელმწიფოს "მოქალაქის" განმარტება შეესაბამება აღნიშნული სახელმწიფოს მიერ ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტის „ბ“ და „გ“ მუხლების თანახმად გაკეთებულ ნებისმიერ დეკლარაციას, საჭიროების შემთხვევაში, ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს შორის ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენციის შესაბამისი შესწორებების გათვალისწინებით (9).

მუხლი 6

საერთაშორისო სამართალი ლტოლვილთა შესახებ

ეს ჩარჩო გადაწყვეტილება მოქმედებს დაცვის იმ პირობების დარღვევის გარეშე, რომლებიც ლტოლვილებისა და თავშესაფრის მაძიებლებისთვის საერთაშორისო სამართლით ან ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული სხვა საერთაშორისო დოკუმენტებით არის გათვალისწინებული. განსაკუთრებით აუცილებელია წევრი სახელმწიფოების მიერ ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების შესრულება, ლტოლვილთა სტატუსის შესახებ 1951 წლის კონვენციის 31-ე და 33-ე მუხლებისა და 1967 წლის ნიუ იორკის ოქმის შესწორებების გათვალისწინებით.

მუხლი 7

ინფორმაციის გაცვლა წევრ სახელმწიფოებს შორის

1. თუ წევრი სახელმწიფო ინფორმირებულია 1-ელი მუხლის 1-ელ პუნქტში ნახსენები დარღვევების შესახებ, რომელიც სხვა წევრი სახელმწიფოს უცხოელთა შესვლისა და ბინადრობის შესახებ კანონის დარღვევას წარმოადგენს, მან ამის შესახებ აღნიშნულ სახელმწიფოს უნდა აცნობოს.

2. ნებისმიერმა წევრმა სახელმწიფომ, რომელიც სთხოვს სხვა წევრ სახელმწიფოს, რომ უცხოელების შესვლისა და ბინადრობის შესახებ მისივე კანონების დარღვევის საფუძველზე განახორციელოს 1-ელი მუხლის 1-ელ პუნქტში მითითებულ დარღვევებზე სისხლისსამართლებრივი დევნა, კომპეტენტური ორგანოებისაგან

მიღებული ოფიციალური ანგარიშის ან ცნობის საშუალებით უნდა განსაზღვროს მისი კანონის დებულებები, რომლებიც დაირღვა.

მუხლი 8

ტერიტორიული გავრცელება

ეს ჩარჩო გადაწყვეტილება გავრცელდება გიბრალტარზე.

მუხლი 9

განხორციელება

1. წევრმა სახელმწიფოებმა 2004 წლის 5 დეკემბრამდე უნდა მიიღონ ამ ჩარჩო გადაწყვეტილების დებულებებთან შესრულებისთვის აუცილებელი ზომები.
2. იმავე თარიღისათვის, წევრმა სახელმწიფოებმა საბჭოს გენერალურ სამდივნოსა და კომისიას უნდა გაუგზავნონ დებულებების ტექსტი, რომელთა მეშვეობითაც ამ ჩარჩო გადაწყვეტილებით მათზე დაკისრებული ვალდებულებების მათ ეროვნულ კანონმდებლობაში ტრანსპოზიცია მოხდება. კომისიის მიერ ამ ინფორმაციის გამოყენების შედეგად შექმნილი ანგარიშის საფუძველზე, საბჭო ვალდებულია, 2005 წლის 5 ივნისამდე შეაფასოს, რამდენად შეასრულეს წევრმა სახელმწიფოებმა წინამდებარე ჩარჩო გადაწყვეტილების დებულებები.

მუხლი 10

გაუქმება

1990 წლის შენგენის კონვენციის 27-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების დებულებები 2004 წლის 5 დეკემბრიდან გაუქმდება. იმ შემთხვევაში, თუ წევრი სახელმწიფო ახორციელებს ამ ჩარჩო გადაწყვეტილებას 9-ე მუხლის 1-ელი პუნქტის შესაბამისად წინასწარ მოცემულ თარიღამდე, აღნიშნული დებულებები ამ წევრ სახელმწიფოზე განხორციელების დღიდან აღარ ვრცელდება.

მუხლი 11

ძალაში შესვლა

ეს ჩარჩო გადაწყვეტილება ძალაში შევა ოფიციალურ ჟურნალში მისი გამოქვეყნების დღეს.

მომზადებულია ბრიუსელში, 2002 წლის 28 ნოემბერს.

საბჭოს სახელით,

პრეზიდენტი

ბ. ჰარდერი

(1) OJ C 253, 4.9.2000, გვ. 6.

(2) OJ C 276, 1.10.2001, გვ. 244.

(3) იხილეთ ამ ოფიციალური ჟურნალის მე-17 გვერდი.

(4) OJ L 176, 10.7.1999, გვ. 36.

(5) OJ L 176, 10.7.1999, გვ. 31.

(6) OJ L 131, 1.6.2000, გვ. 43.

(7) OJ L 64, 7.3.2002, გვ. 20.

(8) OJ L 351, 29.12.1998, გვ. 1.

(9) OJ C 313, 23.10.1996, გვ. 12.